



World Experience for Georgia

ჰიდროსადგურების მშენებლობის პრობლემები საქართველოში

ჩიხი თუ შესაძლებლობა?

ბოლო ხანს საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის ტალღამ პიკს მიაღწია. მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის ჰესები ასოცირდება არა სასარგებლო ელექტროენერჯისა და პროგრესთან, არამედ, ბუნების განადგურებასთან, მოქალაქეების ძალადობრივ გადასახლებასა და მათი ინტერესების და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაყენებასთან. დიდწილად ამ პროტესტის შედეგია, რომ ჰესების მშენებლობის 124-ზე მეტი გამოცხადებული პროექტის უმეტესობა შეფერხებული ან შეჩერებულია. ამავ დროს ელექტროენერჯის მოხმარება და გარე ქვეყნებზე იმპორტდამოკიდებულება განუხრელად იზრდება. 2018 წლის პროგნოზით მოხმარება 2017 წელთან შედარებით, 7%-ით, ხოლო გარე ქვეყნებიდან ნეტო იმპორტი 42%-ით ანუ 350 მლნ კვტ.სთ-ით გაიზრდება.

ჰესების მშენებლობის გარშემო მიმდინარე პროცესი ზოგჯერ პოლიტიკურ ელფერსაც იღებს და საშიშ ტენდენციებს წარმოშობს. საზოგადოების გახლეჩით იზრდება არა მხოლოდ ენერგეტიკული და ეკონომიკური, არამედ ეროვნული უსაფრთხოების რისკები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჰიდროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგობის საბაზით კუთხური განწყობების გაღვივება, რაც გარე ჩარევის და ჰიბრიდული საფრთხის ნიშნებს შეიცავს.

ჰიდროენერგეტიკა კარგად გამოცდილი, ტრადიციული ენერგეტიკული ტექნოლოგიაა. კაშხლები და დერივაცია კაცობრიობის მიერ ასწლეულებია გამოიყენება წყლის დინების სამართავად: სარწყავად, ენერჯის მისაღებად თუ წყალდიდობა-წყალმოვარდნების დასარეგულირებლად. ჰესების მშენებლობის ტემპი მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა და 2005-2015 წლებში ნაზრდმა 39%-ს მიაღწია¹. ჰესები ენერგეტიკის საფუძველს წარმოადგენს ისეთ განვითარებულ ქვეყანებში, რომლებიც ბუნების, კულტურული მემკვიდრეობის და მოქალაქეების მიმართ პატივცემის უმაღლესი სტანდარტებით გამოირჩევიან. იტალიას, ესპანეთს, ავსტრიას, ნორვეგიას თუ შვეიცარიას, თითქმის სრულად აქვთ ათვისებული ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი², საქართველოს კი, მიუხედავად ჰიდროენერჯის გამოყენების მდიდარი გამოცდილების და წიაღისეული ენერჯის ნაკლებობისა, ექსპერტთა შეფასებით, ათვისებული აქვს შესაძლებლობის მხოლოდ 20%.

საკითხავია, თუ რატომ ვერ ვითარდება ჩვენში ჰიდროენერგეტიკა და რატომ იქცა საზოგადოებრივი დაპირისპირების საგნად? რატომ ვერ ვახერხებთ, განვითარებული

¹ https://www.worldenergy.org/wp-content/uploads/2017/03/WEResources_Hydropower_2016.pdf გვ.4

² მაგალითად იხილეთ ამ ქვეყნების ჰიდროენერგეტიკული ობიექტების რუკები: ნორვეგიაში - <https://imgur.com/POHfrOo> ან საშუალო და დიდი ჰიდროსადგურები ალპებში <http://maps.unomaha.edu/Peterson/funda/MapLinks/EuropeOverview/tfsv1map4.jpg>

ქვეყნების მსგავსად, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს ინტერესების ისე დაბალანსებას, რომ ქვეყნის ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოება არ დავაყენოთ საფრთხის ქვეშ?

ქვემოთ ვეცდებით მოვნიშნოთ ამის ზოგიერთი მიზეზი და შესაძლო გადაწყვეტის გზები.

1. ჰესების მშენებლობის პრობლემები

- **სტრატეგიული ხედვების ნაკლებობა.** საქართველოს დღემდე არა აქვს სარწმუნო და საფუძვლიანი ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც ნათლად აჩვენებდა ჰესების როლს ენერგეტიკულ უზრუნველყოფაში და შემოიტანდა მათი განვითარების პრიორიტეტებს. „ჰესების მაქსიმალური განვითარების“ დეკლარატიული მოწოდება არადამაჯერებელია როგორც საზოგადოების, ასევე სპეციალისტებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება ეკონომიკურად ნაკლებმომგებიანი პროექტების (მაგალითად ნენსკრას ჰესის) განვითარება. ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების არგუმენტი კი საჭიროებს ალტერნატივების ანალიზს და დამაჯერებელი არჩევანის შეთავაზებას, რაც უნდა ეყრდნობოდეს დაგეგმვის პროფესიულ მეთოდებს და სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამარწმუნებელი ხარჯ-სარგებლიანობის ეკონომიკური გათვლები, რაც კრიტერიუმად გამოდგებოდა თუ იმ პროექტის მიზანშეწონილობის შესაფასებლად.
- **ხარისხის კონტროლის და მართვის მექანიზმების სისუსტე:** ჰესების დაპროექტების და მშენებლობის დროს დაშვებულ-იქნა მრავალი შეცდომა და ტექნიკური ხარვეზი. მათ შორის: დაუმთავრებელი მტკვარის ჰესი, უხარისხოდ აშენებული და გაჩერებული შუახევის ჰესი, დამეწყრილი ბახვი 3 ჰესი, დევდორაკის მეწყერით დაზარალებული დარიალის და ლარსის ჰესები. არ ხდება ამ შეცდომების აღიარება, სათანადო ანალიზი და გაკვეთილების გამოტანა მომავალში გასათვალისწინებლად. ამის ნაცვლად, ერთი წარუმატებელი პროექტის შემდეგ იგივე დევდორაკელები ხშირად სხვა პროექტებს ავითარებენ, რაც სამართლიან კითხვებს აჩენს³ საზოგადოებაში.
- **გარემოსდაცვითი პროცედურების და ანგარიშების ხარვეზები:** გარემოზე ზემოქმედების შეფასება დროში ჩამორჩებოდა მთავარ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს და მათზე ზეგავლენას ვერ ახდენდა ასევე კრიტიკის საგანი იყო თავად გზშ დოკუმენტების და მათი საფუძვლად გამოყენებული კვლევების ხარისხი, რამაც თავისი უარყოფითი როლი შეასრულა და ნეგატიური განწყობები გააჩინა.
- **გაუმჭვირვალე პროცედურები და მემორანდუმები:** 124-ზე მეტი ჰესის მშენებლობის მემორანდუმი, რომელთა უდიდესი ნაწილიც ბოლო წლებში გაფორმდა, მნიშვნელოვნად განსხვავებულ და ზოგჯერ გასაიდუმლოებულ პირობებს შეიცავს⁴, რაც მოხელეთა პირადი დაინტერესებით დადანაშაულების საფუძველს იძლევა. მოქალაქეთა ეჭვებს ამლიერებს ასევე კერძო ინდივიდუალური მიდგომები: მაგალითად, ხუდონჰესის დევდორაკისთვის 1500 ჰექტარი მიწის უსასყიდლოდ გადაცემა, სხვა სადგურებისთვის გადამცემი ხაზების უფასოდ მიყვანა და ა.შ., ამას

³ მაგალითად ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის უფლება მოიპოვა Clean Energy ჯგუფმა, რომელმაც სავარაუდოდ ვერ უზრუნველყო შუახევის ჰესის სათანადოდ დასრულება.

⁴ გაცემული მემორანდუმებიდან 15 გულისხმობს 12 თვიან სავალდებულო შესყიდვას, 57 – 8-თვიანს ხოლო 19 – 3-თვეს ან გამომუშავების 20%-ს. ფასები იცვლება 4.5-დან 10.5 ცენტამდე (დავაზუსტოთ) ზოგი კი საერთოდ გასაიდუმლოებულია

გარდა, მემორანდუმები ეწინააღმდეგება ღია ბაზრის პრინციპებს, სახელმწიფოს აკისრებს ჭარბ ფინანსურ რისკებს და, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიული ინვესტიორების მოზიდვას. დეველოპერების დიდ ნაწილს აკლია გამოცდილება, ცოდნა და ფინანსური რესურსი იმისთვის რომ პროექტების გეგმის მიხედვით განავითაროს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირადი ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობს ამა თუ იმ პროექტის განვითარების უფლების მიღებაში.

- **კომუნიკაციის ნაკლებობა** - ადგილობრივი მოსახლეობა უჩივის მთავრობის და დეველოპერების მხრივ თანმიმდევრული და გულწრფელი კომუნიკაციის ნაკლებობას. წარუმატებელი კომუნიკაციის შემდეგ ნდობის აღდგენა რთულდება და ზოგჯერ საქმე სპეცრაზმების ჩარევამდე მიდის, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავს. ამას ასევე შესაძლოა ხელს უწყობდეს მოხელეთა პირადი დაინტერესების ეჭვები და არაინფორმირებული მოსახლეობისთვის რომელიმე მესამე მხარის მიერ არასრული ან მცდარი ინფორმაციის მიწოდება, ასევე სხვადასხვა პირადი დაინტერესების მქონე პირთა მონაწილეობა.

2. ჰესების საწინააღმდეგო კამპანიის პრობლემები

ჰესების მიმართ წინააღმდეგობას მნიშვნელოვნად ასაზრდოვებს გარემოსდამცველ და ვოჩდოგურ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ და სავარაუდოდ რესურსებით და ინფორმაციულად უზრუნველყოფილ კამპანიას ატარებენ. თუმცა, ამ კამპანიას, ზემოთმოყვანილ და სხვა ობიექტურ მიზეზთა გარდა, ნებით თუ უნებლიედ სუბიექტურობის ნიშნებიც საკმაოდ აღენიშნება. მათ შორის:

- კონკრეტული პროექტების სამართლიან კრიტიკასთან ერთად, შეიმჩნევა ზოგადად ჰიდროსადგურების დემონიზება და დისკრედიტაცია, როგორც ქვეყნისთვის მავნე და ადგილობრივი მოსახლეობისთვის საშიში, ჩამორჩენილი ტექნოლოგიისა, რომელზეც თანამედროვე მსოფლიო უარს ამბობს. თანაც ეს შეხედულება ვრცელდება ყველანაირ-დიდ, მცირე, კაშხლიან თუ დერივაციულ სადგურებზე;
- გარემოსდაცვითი საკითხების წამოწევას ზოგჯერ ახლავს მათი გაზვიადება და იმ სარგებლის დაკნინება, რომელსაც ქვეყანა და თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებდა ჰიდროსადგურების განვითარებით;
- გარემოსდაცვითი შესწავლის დოკუმენტების სამართლიან კრიტიკასთან ერთად, ზოგჯერ ხდება მცირე ტექნიკური ხარვეზების გაზვიადება და როგორც ჩატარებული გზშ პროცესის, ასევე მონაწილე პროფესიონალების დისკრედიტაცია.
- შეინიშნება მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებული ნაწილის შიშების გაზვიადება, მათ შორის ზვავების, წყალდიდობების, მიწისძვრების და ელექტროგადამცემი, თუ მაგნეტიკური ინფრასტრუქტურის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე.
- ჰესების მშენებლობის საპირწონედ ხდება არარეალისტური ალტერნატივების შეთავაზება, მაგალითად მხოლოდ ენერგოეფექტურობის და ქარის თუ მზის ენერჯის გამოყენებით იგივე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ა.შ.;
- სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის სამართლიან კრიტიკასთან ერთად, ხდება მისი ტენდენციური, ცალმხრივი წარმოჩენა, მაგალითად იმის უგულვებლყოფა, რომ ჰიდროსადგურებთან ერთად ხდება თბოსადგურების და ქარის თუ მზის სადგურების განვითარება.

- ხდება მოსახლეობის სამართლიანი მატერიალური თუ კულტურულ/ტრადიციული ინტერესების წარმოჩენა და საერთო ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა.
- ჰესების საწინააღმდეგო აგიტაცია იწვევს დაპირისპირებას და მშენებლობის შეჩერებას იქაც, სადაც პროექტების გარემოზე ზემოქმედება ნაკლებია და მოსახლეობასთან შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა ყველა მხარის სასარგებლოდ.

აღნიშნული გვარწმუნებს, რომ აღნიშნული გარემოსდამცველები წარმოადგენენ ქმედით დაინტერესებულ მხარეს. ცდილობენ რა დაიცვან ბუნება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, ისინი შესაძლოა ზოგჯერ სცილდებოდნენ კომპეტენციის ზღვარს, მათ შორის სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებისთვის სახიფათო დაუბალანსებელი მიმართულებით.

შედეგები

მდგომარეობა სულ უფრო ჩიხში შედის და წინააღმდეგობა არ ნელდება. ერთის მხრივ მზარდი ენერგოდეფიციტი და იმპორტთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა ასევე ინვესტორებთან გაფორმებული მემორანდუმები და შესაძლო ფინანსური ზარალი მთავრობას, ჰიდროსადგურების მშენებლობის დაჩქარებას აიძულებს. მეორეს მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობას კომპრომისულ და რაციონალურ გადაწყვეტილებებზე შეთანხმებას ურთულებს ინფორმაციის და ნდობის დეფიციტი, საჯაროდ გაცხადებული უკომპრომისო გადაწყვეტილებები და, სავარაუდოდ, ასევე მესამე მხარის შეგულიანება. **არაკვალიფიციური პროცესის** გამო შესაძლოა საფრთხე ექმნებოდეს არა მხოლოდ ჰიდროსადგურების არამედ უფრო ფართოდ, ყველა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ჰესების წინააღმდეგ პროტესტი განსაკუთრებით გაძლიერდა სვანეთში, სადაც დაწყებულია რამდენიმე საშუალო და დიდი ჰესის, მათ შორის ნენსკრას და ხუდონჰესის მშენებლობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსახლეობის ნაწილი ჰესების მშენებლობისადმი წინააღმდეგობის საბაზით, გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევით, მზად არის სვანები სხვებისგან განსხვავებულ მოქალაქეებად გამოაცხადოს სვანეთში „ყოველმხრივი უპირატესობისა და პრიორიტეტულობის ლეგიტიმური უფლებამოსილებებით“. მოითხოვენ სვანებისთვის „აბორიგენი“ და „ავტოქტონური“ მოსახლეობის სტატუსის მინიჭებას და ამით დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულად წარმოჩენას. საერთაშორისო და ადგილობრივ ფორუმებზე ხდება სვანური ტრადიციული ცხოვრების წესის, სახელმწიფო წესწყობილების საპირისპიროდ, სადაო ფორმულირებით წარმოჩენა და კუთხური განწყობების დანერგვის მცდელობა. აღნიშნული საშიში პოლიტიკური კამპანიის ნიშნებს ატარებს და რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების ფონზე, სახელმწიფოს ასუსტებს. ცალკე შესაფასებელია, თუ რამდენად გააზრებული და სარგებლიანია სვანეთის მკვიდრთათვის 21-ე საუკუნეში კუთხურობის, იზოლაციონიზმის და შუასაუკუნეობრივი ტრადიციების გარემოში ცხოვრება.

შექმნილი მდგომარეობით ზარალდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარების ინტერესები, ზარალობენ კვალიფიციური ინვესტორებიც, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლოა კარგავდეს იმ სარგებელს და პერსპექტივებს, რაც განვითარებას მოაქვს. საზოგადოების პოლარიზებით და კუთხურ-სეპარატისტული განწყობების გაღვივებით საფრთხე ექმნება ეროვნულ უსაფრთხოებას.

აუცილებელია ენერგიული ქმედება, ამ ჩიხიდან მინიმალური დანაკარგებით გამოსასვლელად.

შესაძლო გამოსავალი

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მოითხოვს ბუნებრივი რესურსების და ენერგეტიკული პოტენციალის მიზანშეწონილ, დაბალანსებულ განვითარებას, სადაც ეკონომიკური და ენერგეტიკულ ინტერესები შეჯერებული იქნება გარემოს და სოციალური განვითარების ინტერესებთან. ეს ნამდვილად არ გულისხმობს არც ყველა ჰესის უარყოფას, არც მათ“მაქსიმალურ“ უგეგმო და/ან უხარისხო განვითარებას.

აუცილებელია შექმნილი კრიზისის გადაყვანა სამუშაო პროცესში, რათა მწვავე საგარეო და საშინაო გამოწვევების ფონზე, საზოგადოების დრო და ენერჯია არა დესტრუქციულ ურთიერთდაპირისპირებას, არამედ კონსტრუქციულ განვითარებას მოხმარდეს. აუცილებელია დაიწყოს დაინტერესებულ მხარეთა კვალიფიციური დიალოგი მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე, სადაც სწორად უნდა ჩაერთოს ყველა მხარე; მათ შორის დეველოპერების და ადგილობრივი მოსახლეობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სპეციალისტები. უპირველესად, უნდა მოხდეს მხარეების სწორი პოზიციონირება, რათა მკაფიოდ განისაზღვროს მათი ინტერესები, კომპეტენციები, და გამოირიცხოს შესაძლო ფარული დაინტერესება როგორც საჯარო მოხელეების და დეველოპერების ასევე ჰესების მოწინააღმდეგეთა შორის.

უნდა მოხდეს შეთანხმება მდგრადი განვითარების ხედვებზე და ძირითად პრინციპებზე, რითაც უნდა დაბალანსდეს უსაფრთხოების, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ინტერესები. ღია დიალოგი უნდა დაეყრდნოს პროფესიულ კვლევებს, და მონაცემებს, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და სამეცნიერო ცოდნას და გამოირიცხოს დილეთანტური, პოპულისტური გამოსვლები და მიდგომები.

უფრო კონკრეტულად:

- დაიწყოს ენერგეტიკული სტრატეგიის ჩამოყალიბება, პირველ ეტაპზე კი - შედარებით მარტივი ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საშუალებით დამაჯერებელი საფუძვლების ჩამოყალიბება გადაწყვეტილებების მისაღებად,
- დაიწყოს ჰიდროსადგურების მშენებლობის ხარვეზების შესწავლა, დასკვნების გამოტანა და სამომავლოდ საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე პროექტების ხარისხის უზრუნველყოფის და მოსახლეობასთან კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბება,
- მოხდეს მემორანდუმების სისტემის შეფასება. ჰიდროსადგურების პროექტების დღევანდელი სტატუსის და მათი მემორანდუმების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი ენერგეტიკული უსაფრთხოების, მხარეთა ვალდებულებების, უკვე გაწეული ინვესტიციების და გარემოსთვის უკვე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით.
- ჩატარდეს მოქალაქეებთან კვალიფიციური სტრატეგიული კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგეტიკის დაგეგმვის და გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ. მოეწყოს სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვები.

სახელმწიფომ უნდა აიღოს მეტი ინიციატივა და წარმართოს პროფესიული, დაბალანსებული და გულწრფელი დიალოგი, რომელიც სიტუაციას განმუხტავს, დაპირისპირებას გადაიყვანს სამუშაო პროცესში და გააჩენს ენერგეტიკის მიზანშეწონილი, მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. ეს არის ასევე საჯარო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, სამოქალაქო და

სახელმწიფოებრივი შეგნების და პროფესიონალიზმის ახალ დონეზე აყვანის შესაძლებლობა,
რომლის ხელიდან გაშვებაც დაუშვებელია.

მურმან მარგველაშვილი

WEG, 05.06.18